ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეოთხე მოწვევის რიგგარეშე სხდომისა

ქ. ხობი **2018 წლის 9 აგვისტო**

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 37

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 37

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 24 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერი ჯობავა - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 21, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდნენ: დ. ცინაძე, გ. ჯობავა, რ. ხილაძე)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

(მომხსენებელი: გ. ქაჯაია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: თ. გულუა - განაცხადა, რომ 2016 წელს ადგილობრივი არჩევნების დროს, მოსახლეობის მხრიდან გამოითქვა უკმაყოფილება ახალი ხიბულის ადმინისტრაციულ ერთეულში საარჩევნო უბნის ახალი ხიბულის საჯარო სკოლის შენობაში განთავსებასთან დაკავშირებით, საპრეზიდენტო არჩევნებზეც, უბანი რჩება სკოლის შენობაში, სადაც ფართის სიმცირის გამო კომისია ვერ ახერხებს ნორმალურად მუშაობას და მოითხოვა საარჩევნო კომისიის თუნდაც ახალი ხიბულის კლუბის შენობაში გადატანა.

მ. ქარდავა - განმარტა, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა საოლქო საარჩევნი კომისიის პრეროგატივა იყო და გამომდინარე იქედან, რომ საჯარო სკოლის შენობა არ გახლავთ მუნიციპალიტეტის საკუთრება, ამ საკითხს საოლქო კომისია შეათანხმებდა შესაბამის სტრუქტურასთან და მათ ამაზე უკვე წარდგენილი ექნებათ ინფორმაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ. ბერაია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

დ. ბერაია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის განმარტებით „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების თარიღის დანიშვნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 1 აგვისტოს N01-08-02 განკარგულების შესაბამისად მომზადდა განკარგულების პროექტი „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“, რომლის თანახმადაც, ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის შესაბამის საარჩევნო კომისიებს დროებით, უსასყიდლოდ გადაეცემათ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, ასევე საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და

დისკუსიებისთვის გამოეყოფათ ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ განხილულ იქნა წარმოდგენილი განკარგულების პროექტი და მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით მიღება.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 24, წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებულია

(განკარგულება N37 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სიტყვა ითხოვა საკრებულოს წევრმა ნ. ვეკუამ

ნ. ვეკუა - გამომსვლელმა შეკითხვით მიმართა ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსს (ა. ვარდია) და დაინტერესდა, თუ როდის გადაწყდებოდა ახალსოფლის განათების საკითხი, რაზედაც თავადაც არაერთხელ მიმართა მუნიციპალიტეტის მერიას, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა საკითხის გადაწყვეტა და რაც მოსახლეობის სამართლიან პრეტენზიებს იწვევს.

ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების მართვის სამსახურის უფროსი - განაცხადა, რომ საკითხის გადაწყვეტის უფლებამოსილება მინიჭებული აქვს შპს „ხობი დასუფთავება და განათებას“ და როგორც მისთვის ცნობილია მრიცხველი დამონტაჟებულია, თუმცა უფრო დეტალურ ინფორმაციას შპს-ს ხელმძღვანელობისგან მიიღებდა და უმოკლეს ვადაში იქნებოდა გადაჭრილი არსებული პრობლემა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერი ჯობავა

მეოთხე მოწვევის საკრებულოს 2018 წლის 9 აგვისტოს რიგგარეშე სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ედიშერი ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. ტარიელ ალექსანდრია
4. დავით ბერაია
5. თეა გელანტია
6. დოდო გაბუნია
7. თემურ გულუა
8. ბექა მამაცაშვილი
9. კახა ლატარია
10. მერაბ ფილიპია
11. ია ჯიშკარიანი
12. ნიკოლოზ ვეკუა
13. დავით ცინაძე
14. კონსტანტინე ნასარაია
15. რამინ ხილაძე
16. ლაშა ცატავა
17. აბელი ქირია
18. გენადი ქამანაია
19. კობა გოქაძე
20. გოჩა ჯობავა
21. გიგა ნასარაია
22. გია წულაია
23. ავთანდილ ხუნჯუა
24. აკაკი ხურცლავა